№ 00016233

01/11/2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N

შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის დირექტორის 2023წლის 16 ოქტომბრის შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის განცხადებების/საჩ ივრების განხილვის წესი
დამტკიცების შესახებ„ N 02.1431 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შპს „ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ წესდების მე-10 და მე11 მუხლების, შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის დებულების მე-4 მუხლის მესამე პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცვლილება შევიდეს შპს „ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2023 წლის 16 ოქტომბრის N 02.1431 ბრძანებით დამტკიცებულ **„შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის განცხადებების/საჩივრების განხილვის წესში“** ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუტაისი, კუპრამის N11).

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა
პროგრესი
გენერალური დირექტორი
ჩიკვაშვილი ნინო

Not signed

განცხადებების/საჩივრების განხილვის წესი

შპს .ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

-2024-

ზოგადი დებულება

1. კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს.

განცხადების/საჩივრის შედგენა და განხილვა

1. განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სკოლის მიერ დადგენილი წესით;
2. განცხადება განიხილება რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
3. საჩივრის განხილვა ხდება მისი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში. საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ერთი თვის ვადით
4. განცხადება/საჩივარი შედგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:
   - სკოლის დასახელებას;
   - განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს (საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მითითებით);
   - მოთხოვნას;
   - გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას;
   - განცხადების/საჩივრის წარდგენის თარიღსა და ხელმოწერას;
   - განცხადებაზე/საჩივარზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - გასაჩივრებული გადაწვეტილების დასახელებას (საჩივრის შემთხვევაში).
5. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით სასამართლოში.

მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხევაში მიმართვის განხილვის წესი

1. ყველა მოსწავლეს აქვს უფლება წარადგინოს მიმართვა თავისი უფლებების დარღვევის გამო. მიმართვა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ემსახურებოდეს სიმართლის დადგენას.
2. სკოლის მოსწავლის მიმართვა შეიძლება ეხებოდეს მოსწავლის უფლებების დარღვევას უკანონო ქმედების შედეგად. მაგალითად: თუ მოსწავლეს მიაყენეს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუ დაჩაგრეს და ა.შ.

მიმართვის მომზადება

1. მოსწავლეს აქვს უფლება წარადგინოს მიმართვა ან დამოუკიდებლად, ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.
2. მიმართვა არ განიხილება, თუ მასში არ არის მითითებული განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, რომელი უფლება დაირღვა და რას ითხოვს განმცხადებელი.
3. მიმართვა უნდა წარედგინოს სკოლის დირექტორს. იმისათვის, რომ მიმართვა იყოს განხილული, აუცილებელია მისი რეგისტრაცია.

4. მომზადებული მიმართვა შესაძლებელია:

- ფურცელზე ხელით დაიწეროს ან დაიბეჭდოს, შემდეგ დარეგისტრირდეს სკოლის ადმინისტრაციაში;
- ელექტრონულად გაიგზავნოს სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე

მიმართვის განხილვა

1. მოსწავლის საჩივრის და განცხადებების განხილვა განხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ნებისმიერი მიმართვის განხილვისას მოუსმენენ მოსწავლეს და მის თანაკლასელებს, მიმართვასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, მოიპოვებენ მტკიცებულებებს.
3. მიმართვა განიხილება 10 სამუშაო დღის ვადაში.

- მასწავლებლის მიმართ პრეტენზიას განიხილავს სკოლის დირექტორი;
- სკოლის რომელიმე მოსწავლის მიმართ პრეტენზიას განიხილავს დირექტორი;
- პრეტენზიის საფუძველი შეიძლება გახდეს: გადაწყვეტილება (ქმედება ან უმოქმედება)